ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2187564

ნომერი: AR1336440

თარიღი : 20.08.2015

გაცემის თარიღი : 14.09.2015

გაცნობის თარიღი : 14.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , მიკრო/რაიონი XI , კვარტალი I , მიმდებარედ (ნაკვეთი 14/033);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია ზირაქიშვილი პ/ნ 01024021439
- გიული ჭოხონელიძის ჩიხი 6

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1336440 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით ინფორმაციას თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.02.014.033) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს მიერ დამატებით მონიშნულ ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6), წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. შესაძლებელია აგრეთვე ამ წესების დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).
გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ არის წინააღმდეგი გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მოთხოვნილი ფუნქციით სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის (საცხოვრებელი ზონა 6–ის (სზ–6)) შესაბამისად.
ხოლო, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დასადგენად, საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.